საქართველოში მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლების უფლებათა დარღვევა

REAct-ის მეშვეობით 2020 წელს
შეგროვებული მტკიცებულებები

REAct-ის შესახებ

REact (Rights – Evidence – ACTion – უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები), შემუშავებულია ორგანიზაცია Frontline AIDS-ის მიერ (დიდი ბრიტანეთი) და წარმოადგენს თემის დონეზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე მონიტორინგის და რეაგირების ინსტრუმენტს.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში REAct ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსის მიერ, რეგიონული პროექტის "აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მაღალი რისკის პოპულაციებისათვის მდგრადი აივ სერვისების უზრუნველყოფა" (SoS) ფარგლებში, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

REact იძლევა ადამიანის უფლებებთან, აივ-ინფექციის სერვისებთან, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე წვდომასთან დაკავშირებულ ბარიერების დოკუმენტირების და რეაგირების შესაძლებლობას.

საქართველოში ძირითადი განმახორციელებელი პარტნიორია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, რომელიც მოქმედებს 14 სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობაში და აწვდის ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლებს ფართო სპექტრის მომსახურებას, მათ შორის იურიდიულ მომსახურებას და ქალთა უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის სერვისს.

https://react-aph.org/

225
მომართვა 2020 წლის განმავლობაში

14
არასამთავრობო ორგანიზაციები

24
React-ორი (ახდენენ დოკუმენტირებას)

6
ქალაქი, სადაც არიან React-ორები

სამართლებრივი გარემო

აივ-ის გადაცემა

კრიმინალური პასუხისმგებლობა (საქართველოს სისხLის სამართლის კოდექსის 131-132 მუხლი). გამოიყენება ძალიან იშვიათად.

ნარკოტიკის შენახვა, გამოყენება, გასაღების მიზნის გარეშე

ადმინისტრაციული/სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 260-273[1])/(სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 45, 45[1]). დოზების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული

სექს-სამუშაოს განხორციელება

კომერციული სექს-მომსახურების მიწოდება – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (ადმინისტაციული კოდექსის მუხლი 172[3]) პროსტიტუციაში ჩაბმა – სისხლის სამართლის დანაშაული (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 253). გამოიყენება იშვიათად

ერთსქესიანი ურთიერთობები

არ არის კრიმინალიზირებული

ლგბტ თემის მიმართ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონები: სახელმწიფო/კერძო სექტორში, განათლებაში, შრომის სფეროში (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, 2014 წ). დანერგილია კანონმდებლობა სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის შესახებ (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 53[1] (3)

საქართველო კვლავ წარმოადგენს ქვეყანას, სადაც დიდია სტიგმის დონე მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიმართ. ნარკოტიკის მომხმარებლები, სექს-მუშაკი ქალები, აივ ინფიცირებულები იმყოფებიან ისეთი კანონების ქვეშ, რომელიც ექსპლიციტურად ახდენენ მათ პიროვნებასთან და ქრონიკულ დაავადებებთან დაკავშირებული ქმედებების ან უმოქმედების კრიმინალიზირებას.

კლიენტები

219 2020 წელს მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების წარმომადგენელმა მიმართეს REACT-ორებს დახმარებისთვის მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

კლიენტების ყველზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებულია სექს-მუშაკი ქალებიდან. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ REAct-ის შემთხვევების დოკუმენტირებაში მონაწილე ორგანიზაციებს აქვთ ამ ჯგუფთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ამავდროულად, ხშირად კლიენტები არიან ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის წარმომადგენლები (სექს-მუშაკი ქალი+ტრანსგენდერი *, სექს-მუშაკი ქალი +ნიმ), ამრიგად ჯგუფების მიხედვით ჯამური რაოდენობა აღემატება დარეგისტრირებული კლიენტების საერთო რიცხვს (219).

კლიენტები ჯგუფიდან „პატიმრები“, „ყოფილი პატიმრები“ ამავდროულად არიან ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლები, ამრიგად მათი შემთხვევები წარმოდგენილია ნიმ-ების სტატისტიკაში. შემთხვევები, სადაც დაზარალებული არიან C ჰეპატიტის პაციენტები წარმოდგენილია ნიმ-ების და სექს-მუშაკი ქალების სტატისტიკაში, ამ დროს შემთხვევების 40%-ში კლიენტი მიეკუთვნება ორივე ჯგუფს. ჯგუფი „ნიმ-ის პარტნიორი“ აერთიანებს ნიმ-ების სქესობრივ პარტნიორს/მეუღლეს, რომლებიც თავად არ მოიხმარენ ნარკოტიკს, მაგრამ აქვთ აივ-ით ინფიცირების მაღალი რისკი მეუღლის/პარტნიორის სარისკო ქცევის გამო. ამ ჯგუფის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ცალკე კარში.

16-18 წლის მოზარდებს შორის დაფიქსირდა ორი შემთხვევა, და ისინი ეხება ოჯახის წევრების და უცნობების მხრიდან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში პრევალირებენ ქალები (ხშირ შემთხვევებში სექს-მუშაკი ქალები და ნიმ-ების პარტნიორები). REAct-ის სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარებით, დარეგისტრირებულ კლიენტებს შორის ქალების შთამბეჭდავი რაოდენობა ცხადყოფს საქართველოში ქალთა მზადყოფნას დაიცვან თავისი უფლებები და უფლებების შესახებ მაღალ ინფორმირებულობას.

კლიენტების რაოდენობა, თითოეული ჯგუფის მიხედვით



გენდერულ-ასაკობრივი სტრუქტურა



მაღალი რისკის ყველა ჯგუფი

ძირითადი დამრღვევები

შემთხვევათა რაოდენობა და მათი წილი ყველა დარეგისტრირებულ შემთხვევასთან მიმართებაში



შენიშვნა: ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს რამდენიმე დამნაშავე და დარღვევის რამდენიმე სახეობა ერთდროულად, მაგალითად ოჯახური ძალადობა სქესობრივი პარტნიორის მხრიდან და პოლიციის უმოქმედება მსხვერპლის ჩივილზე. ამიტომ დიაგრამაში ყველა წილის ჯამი აღემატება 100%-ს.

კერძო პირები: სქესობრივი პარტნიორი, ნათესავები, მეზობლები, სექს- მუშაკი ქალების კლიენტები, დამსაქმებელი, ქუჩაში გამვლელები, უცხო პირები.

ჯანდაცვის სფერო: ექიმები/აივ-ზე სპეციალიზირებული დაწესებულებები (ინფექციონისტები, ლაბორატორიის თანამშრომლები), სხვა ექიმები, რომლებიც არ არიან პირდაპირ დაკავშირებული აივ-ის მკურნალობასთან (სტომატოლოგი, გინეკოლოგი და სხვა), სამშობიარო სახლის მედიცინის მუშაკები, სტაციონარული განყოფილების მედიცინის მუშაკები, ნარკოლოგები, ოჩით ცენტრების თანამშრომლები.

სამართალდამცავი ორგანოები: ოპერრწმუნებულები, პოლიციის თანამშრომლები, სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები, საბაჟო/ მიგრაციის სამსახურის ოფიცრები, სასამართლო სისტემის წარმომადგენლები (მოსამართლე, პროკურორი, სახელმწიფო ადვოკატი).

სახელმწიფო სამსახურები: განათლების სფერო, სოც. სამსახურის, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების თანამშრომლები.

ყველა დამრღვევი

დარეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა ყველა ჯგუფის მიხედვით



დარღვევის ყველა სახეობა

შემთხვევათა საერთო რაოდენობა ჯამურად ყველა ჯგუფის მიხედვით



225

მიმართვა დაფიქსირდა 2020 წლის განმავლობაში

191 (85%)

შემთხვევას მიეცა ადამიანის უფლებათა დარღვევის კვალიფიკაცია

34

შემთხვევაში არ არის დისკრიმინაციის და ადამიანის უფლებათა დარღვევის ნიშნები და მოითხოვს კლიენტის იურიდიულ კონსულტირებას საყოფაცხოვრებო საკითხებში

52

შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენლები პირდაპირ არღვევენ ადამიანის უფლებებს (სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები არიან შემთხვევის დამნაშავეები)

30

შემთხვევაში სამართალდამცავმა ორგანოებმა არ დაიცვეს ადამიანის უფლებები შესაბამისი მიმართვის შემდეგ ან დაზარელებულმა არ მიმართა დახმარებისთვის სამართალდამცავ ორგანოების მიმართ შიშის ან უნდობლობის გამო

123

შემთხვევაში დაფიქსირდა სტიგმის გამოვლენა, შეურაცხყოფა და ძალადობა, როგორც არადისკრიმინაციული კანონების და სახელმწიფოს მხრიდან პროპაგანდის არაეფექტურობის შედეგი

აივ ინფიცირებულები

დამრღვევი

დამრღვევის თითოეული სახის მიხედვით შემთხვევათა რაოდენობა



ამ პერიოდში დაფიქსირდა **20 შემთხვევა,** სადაც დაზარალებული იყვნენ აივ ინფიცირებული პირები.

პროცენტული თანაფარდობით აივ პოზიტიური პირების უფლებების დარღვევის დამნაშავეები არიან: ნათესავები – 25%, მეზობლები – 15%, დამსაქმებლები – 15%, მომსახურების სფეროს წარმომადგენლები – 15%, პოლიცია – 10%, ნაცნობები – 10%. როგორც წესი, აივ პოზიტიური პირების უფლებების დარღვევა გამოიხატება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში.

არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლები, სამსახურებრივი ინფორმაციის გამოყენებით აშანტაჟებენ მუშაკს, რომელიც არის აივ ინფიცირებული და ემუქრებიან აივ სტატუსის გახსნით ნათესავებისთვის.

REAct-ის მიერ დაფიქსირდა ადამიანების სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევები აივ სტატუსის გამო და აივ სტატუსიდან გამომდინარე სამსახურიდან დათხოვნის გამო თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევებიც კი.

ხშირად სამედიცინო პერსონალი უარს ეუბნება აივ პოზიტიურ ადამიანს მომსახურების მიწოდებაზე სტატუსის გამო ან აწვდის არასათანადო ხარისხის მომსხურებას. ხშირ შემთხვევაში მათ აიძულებენ დატოვონ საცხოვრებელი ადგილი. თუ ბინის მეპატრონემ შეიტყო აივ სტატუსის შესახებ, ამ ადამიანს მყისიერად ატოვებინებენ ბინას. სამწუხაროდ, აქვს ადგილი პოლიციის განყოფილებაში აივ სტატუსის გამო ადამიანის დისკრიმინაციის შემთხვევებს. ასე, ერთ შემთხვევაში, აივ პოზიტიური ადამიანი აცხადებს, რომ განყოფილებაში გამოკითხვისას, როდესაც გამომძიებელმა შეიტყო მისი აივ სტატუსის შესახებ, მან გადააგდო ჭიქა, რომლიდანაც აივ-პოზიტიურმა დალია წყალი და არ მისცა ტუალეტით სარგებლობის უფლება. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ციხის თანამშრომელმა სხვა პატიმრებთან გახსნა აივ პოზიტიურის სტატუსი.

დარღვევის სახეობები

ჯგუფი – აივ პოზიტიურები

ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლები

დარღვევის ჩამდენი (ნიმ)

შემთხვევათა რაოდენობა დარღვევის ჩამდენის მიხედვით

დარღვევის სახეობა

ჯგუფი - ნიმ



დარეგისტრირდა **64 შემთხვევა,** სადაც დაზარალებული არის ამავდროულად ნარკოტიკის მომხმარებელი. აქედან 30% პროცენტი არის ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის (ოჩთ) ბენეფიციარი.

ნარკოტიკის მომხმარებლებს აქვთ ოჩთ პროგრამაში დოზირების ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე აღინიშნება ოჩთ პროგრამასთან წვდომის ბიუროკრატიული ბარიერები. ნათესავს არ ეძლევა უფლება გაიტანოს მინდობილობით 5-დღიანი დოზა და ლოგინზე მიჯაჭვული კლიენტი იძულებულია თავად გამოცხადდეს გაცემის პუნქტში. იყო შემთხვევა, როდესაც ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფმა კლიენტმა ჩამოართვა სხვა მომხმარებელს პრეპარატი, რომელიც მან მიიღო კარანტინის დროს, რამაც დაზარალებული ჩააყენა ძალიან რთულ მდგომარეობაში.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ნარკოტიკის მომხმარებლები განიცდიან დევნას ნათესავების მხრიდან. იყო შემთხვევები, როდესაც ნათესავები არ გადასცემენ მემკვიდრეობის უფლებას საკუთარი ოჯახის წევრს. დაფიქსირდა კლიენტების საკუთარი სახლებიდან უკანონოდ გასახლების შემთხვევების დიდი რაოდენობა. სახლიდან გაგდებული ადამიანები ღამეს ათევენ ქუჩაში, სადარბაზოებში, ზოგჯერ თავს აფარებენ მეგობრებთან. იყო შემთხვევა, როდესაც სასწრაფო დახმარების თანამშრომელმა თავშესაფარში სამედიცინო დახმარების გაწევის დროს გასცა კლიენტის ოჩთ პროგრამის მონაწილის სტატუსი, რის გამოც თავშესაფარის ადმინისტრაციამ გაასახლა კლიენტი დროებითი საცხოვრისიდან და იგი კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა.

გრძელდება ქუჩაში არაკანონიერად გაჩერების, არასანქციონირებული ჩხრეკის, აივ ტესტირებაზე იძულებით გაგზავნის სასტიკი საპოლიციო პრაქტიკა. სინანულს იწვევს ის ფაქტი, რომ პოლიციის მხრიდან ადგილი აქვს ფიზიკურ ძალადობას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. დადებითი არის ის, რომ ნარკოტიკის მომხმარებლების დიდი რაოდენობა არ აბარებს ბიოლოგიურ მასალას და ამრიგად ახერხებს პოლიციისგან მიმალვას.

ინექციური ნარკოტიკის ქალი-მომხმარებლები ხშირად განიცდიან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ნარკოტიკის მომხმარებელ ქმრების მხრიდან. მოხდა შემთხვევის დოკუმენტირება, როდესაც ქმარი აიძულებდა თავის სექს-მუშაკ ცოლს, რომელიც ამავდროულად ნარკოდამოკიდებულია, ფულის გამომუშავებას სექს-მომსახურების მიწოდების მეშვეობით, უარის შემთხვევაში კი სცემდა მას. ქალი იძულებულია მოითმინოს ძალადობა, რადგანაც მას არ გააჩნია საცხოვრისი და მას არ ღებულობენ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ნარკომომხმარებლის სტატუსის გამო. იყო შემთხვევა, როდესაც აივ-დადებითი, ნარკომომხმარებელი მამაკაცი აძალებდა ცოლს დაუცველ სექს და ხშირად აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას.

სამწუხაროდ, უფლებების დარღვევის შემთხვევაში ნარკომომხმარებლები თავს არიდებენ პოლიციაში მიმართვას, რადგანაც იქ ისინი თავის სტატუსი მსხვერპლი ხდებიან.

ნარკომომხმარებელი დააპატიმრეს შპრიცში ჰეროინის ნარჩენების გამო. კანონით განსაზღვრულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის ჰეროინის მინიმალური რაოდენობა 0,005 მგ ოდენობით. სამწუხაროდ, კანონი იძლევა შესაძლებლობას ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ნარკოტიკის შენახვისთვის, ცარიელი შპრიცებისთვის, ან ნარკოტიკის ნარჩენის შემცველი შპრიცებისთვის. ნარკომომხმარებლების უმრავლესობა იმყოფება გამოსაცდელ ვადაზე, ნარკოტიკის განმეორებით გამოყენების შემთხვევაში ან შენახვის ახალი ფაქტის შემთხვევაში გამოიყენება უფრო მკაცრი ზომები.

სექს-მუშაკი ქალები





სულ დარეგისტრირდა **131 შემთხვევა,** სადაც დაზარალებული არის ამავდროულად სექს-მუშაკი ქალი.

- შემთხვევათა 28%-ში (37 შემთხვევა) დამნაშავე არის პოლიცია.
- შემთხვევათა 58%-ში (70 შემთხვევა) დამნაშავე არიან კერძო პირები.
- შემთხვევათა 3%-ში (4 შემთხვევა) დამნაშავე არის ჯანდაცვის სფერო.

სექს-მუშაკი ქალები წარმოადგენენ საზოგადოების მხრიდან დაცინვის, დევნის, თავდასხმის ობიექტს. პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, გამოძალვა, სექსუალური ძალადობა, ცემა - არის მათი უფლებების დარღვევის ყველაზე გავრეცელებული სახეობები. სექს- მუშაკი ქალები განიცდიან ძალადობას ყოფილი ქმრების მხრიდან, ასევე არიან შანტაჟის ქვეშ, მათ სძალავენ ფულს ბავშვებისთვის მათი სტატუსის გამხელის მუქარით. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც სოციალურმა სააგენტომ მამის განცხადების საფუძველზე, ჩამოართვა ბავშვი სექს-მუშაკ ქალს და შეუწყვიტა მას ბავშვთან კონტაქტი მისი სტატუსის გამო. აქვე აღსანიშნავია, ოჯახის მხრიდან სექს-სამუშაოთი დაკავებით იძულება და ფულის ჩამორთმევა. აგრეთვე, ხშირია კონფლიქტები ჯგუფის შიგნით, კერძოდ სექს-მუშაკი ქალები ართმევენ ერთმანეთს ფულს.

არ არის იშვიათობა შემთხვევები, როდესაც პოლიციელი ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას სექს-მუშაკ ქალზე, აშანტაჟებს მას, იმისთვის, რომ ქალი გახდეს მისი ინფორმატორი, ემუქრება, რომ უარის შემთხვევაში მოუყვება ოჯახს მისი საქმიანობის შესახებ. მათ აიძულებენ დატოვონ „წერტილი“, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან 400-ლარიანი ჯარიმით. დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც პოლიციელმა დაპატიმრების მუქარით წაიყვანა სექს-მუშაკი ქალი რამდენიმე დღით თავის ქალაქგარეთ მდებარე სახლში.

უმრავლეს შემთხვევაში სექს-მუშაკი ქალები არინ მოწყვლადი, მათთვის ხელმისაწვდომი არ არის იურიდიული მომსახურება. პოლიცია ხშირად არ პასუხობს მათ განცხადებებზე და ჩივილებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად სექს-მუშაკი ქალებიც არიდებენ თავს პოლიციაში მიმართვას, რადგანაც არ სჯერათ, რომ მათ უფლებებს დაიცავენ, უფრო სწორედ შიშობენ, რომ პოლიცია იმოქმედებს მათ საწინააღმდეგოდ.

მსმ და ტრანსგენდერები *





სისტემაში დარეგისტრირდა 31 კლიენტი, რომლებიც მიეკუთვნებიან მსმ (21) და ტრანსგენდერების* (10) ჯგუფს, აგრეთვე დაფიქსირდა მათი უფლებების დარღვევის 40 შემთხვევა (რამდენიმე კლიენტმა მოახდინა 2-3 შემთხვევის შეტყობინება, რომლებიც არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული).

მსმ და ტრანსგენდერების* უფლებების დარღვევაში დამნაშავეების უმეტესობა არ არის ცნობილი, მათ მოყვებიან პოლიციელები, მეზობლები, ნათესავები, პარტნიორები, მომსახურების მიმწოდებლები, სასწრაფო დახმარება. უცნობი პირები ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას. ისინი შეურაცხყოფას აყენებენ მსმ და ტრანსგენდერებს*, უწოდებენ მათ ავადმყოფებს, ამცირებენ მათ, ესვრიან მათ ქვებს და ლუდის ბოთლებსაც კი, ემუქრებიან მკვლელობით. მსმ და ტრანსგენდერები* განიცდიან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მხრიდან. მათ აქვთ კონფლიქტები მომსახურების სფეროში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ცენტრებში, სასტუმროებში. დამსაქმებლები ათავისუფლებენ მათ სამსახურიდან სტატუსის გარშემო კამათის გადასაწყვეტად პოლიციის გამოძახებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსმ და ტრანსგენდერების* ოჯახიდან განკვეთა, მათზე ნათესავების მხრიდან უარის თქმა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულება დატოვონ საცხოვრებელი ადგილი. ასევე აღსანიშნავია ძალადობა, მუქარა, შანტაჟი პარტნიორის მხრიდან.

სხვა მოწყვლადი ჯგუფები

ნიმ-ების სქესობრივი პარტნიორები

REAct-მა ასევე გამოავლინა ნარკომომხმარებლების პარტნიორების უფლებების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ, ხშირ შემთხვევაში ნარკომომხმარებლების პარტნიორები ხდებიან ფიზიკური და ეკონომიური ძალადობის მსხვერპლნი. ხშირად პარტნიორებს აიძულებენ სექს-სამუშაოს და შემდეგ სძალავენ გამომუშავებულ ფულს ნარკოტიკის შესაძენად. დარეგისტრირდა სქესობრივი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის შემთხვევა, რომელიც უკავშირდება ორსულობის შეწყვეტას. იყო შემთხვევა, როდესაც პარტნიორი გააგდეს სახლიდან ფიზიკური ძალადობის შემდეგ. კონფლიქტი უკავშირდებოდა ნარკოტიკის ყიდვას და მოხმარებას. დარეგისტრირდა შემთხვევა, როდესაც საქმეში ჩაერთვნენ შესაბამისი სამსახურები, გამოიცა სასამართლოს შემაკავებელი ორდერი, პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. იმის შემდეგ, რაც საქმეში ჩაერთო REAct-ორი, ორივე მხარის ჩართულობით პრობლემა გადაწყდა.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული შემთხვევები

დაფიქსირდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული 12 შემთხვევა.

პანდემიის პერიოდი განსაკუთრებით პრობლემატური აღმოჩნდა ნარკოტიკის მომხმარებლებისთვის. გახშირდა შემთხვევები, როდესაც პარტნიორები უარს აცხადებდნენ ერთი კვირის განმავლობაში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობაზე. ამ პერიოდში გახშირდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები. ასევე გახშირდა სამსახურის დაკარგვის, ოჯახური ძალადობის, საცხოვრისზე უარის თქმის, ეკონომიური ძალადობის და ბევრი სხვა ფაქტი. პოლიცია ხშირ შემთვევაში აიძულებდა სექს-მუშაკებს დაეტოვებინათ სამუშაო ადგილები კომენდანტის საათის დადგომამდე გაცილებით ადრე. მათ ემუქრებოდნენ 400-ლარიანი ჯარიმით პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის (ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 173) და 2000 ლარიანი ჯარიმით კომენდანტის საათის დარღვევისთვის მთავრობის 2020 წლის 23 მაისის, N322 დადგენილების თანახმად, რასაც შეეძლო საგრძნობლად გაეუარესებინა მათი ეკონომიური მდგომარეობა, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ პერიოდში სექს-მუშაკების დიდმა ნაწილმა დაკარგა სამუშაო და ასევე საცხოვრისი. თუმცა პოლიციის მხრიდან მუქარის მიუხედავად, REAct-ის ბაზაში არ დაფიქსირდა არანაირი უკანონო ჯარიმა კოვიდ-19-თან დაკავშირებით.

შემთხვევების მაგალითები



ნიმ, 37 წლის, 2020 წლის სექტემბერი

კლიენტი მოიხმარს ნარკოტიკს. მანქანაში ჰქონდა ცარიელი შპრიცი. პოლიციამ გააჩერა შესამოწმებლად, დააპატიმრა, შპრიცის აღმოჩენისას, დააჯარიმა 2000 ლარით და მიუსაჯა 3 წელი საცდელი ვადა.

გადაწყვეტა: აპირებს აპელაციაზე შეტანას, იმიტომ რომ შპრიცში შეუძლებელია ნარკოტიკის აღმოჩენა.

სექს-მუშაკი ქალი, 47 წლის, 2020 წლის იანვარი

პარტნიორი წლების განმავლობაში აიძულებდა სექს-მუშაობას. სცემს მას, სისტემატიურად ართმევს ფულს. ფულს ძირითადად ნარკოტიკის შესაძენად იყენებს და გვერდში ჰყავს კლიენტი მხოლოდ აბსტინენციის „(ლომკის“) მოსახსნელად, მის მიერ გამომუშავებული ფულის ხარჯზე. კლიენტმა ორჯერ მიმართა ნაცნობ პოლიციელს, მაგრამ მან უარი განაცხადა დახმარებაზე. არც ოჯახის მხრიდან აქვს მხარდაჭერა. მიმართა იურისტს დახმარებისთვის. მან შეიტანა საჩივარი და ოფიციალურად მიმართა შესაბამის ორგანოებს. გამოიცა აღკვეთის ორდერი, მაგრამ მან დაარღვია პირობები და საბოლოო ჯამში მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

გადაწყვეტა: სოციალური მუშაკები მონაწილეობდნენ მოლაპარაკებებში ოჯახის წევრებთან და საბოლოო ჯამში ოჯახმა აიღო თავის თავზე კლიენტზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.



ნიმ-ის პარტნიორი, 25 წლის, 2020 წლის დეკემბერი

იმის შემდეგ, რაც დაზარალებულმა გაწყვიტა ურთიერთობა პარტნიორთან, იგი დაჰყვება მას სამსახურში, სახლში და ყველა ადგილას, სადაც შეიძლება, რომ იმყოფებოდეს. ერთ საღამოს, მივიდა მის სახლთან და ქუჩაში დახვდა მსხვერპლს. ამოიღო დანა და შეეცადა დარტყმა. ყოფილ პარტნიორს ეშინია, რომ დაზარალებული მოუყვება მშობლებს მათი ურთიერთობების შესახებ და მაშინ მას ელის დიდი უსიამოვნება.

გადაწყვეტა: მოცემულ ეტაპზე, დაზარალებული არ აპირებს პოლიციაში მიმართვას, თუმცა დათანხმდა გაიაროს კონსულტაცია ფსიქოლოგთან და იურისტთან, უახლოეს მომავალში იგი შეძლებს ისარგებლოს „ქალთა ინიციატივების“ იურისტის და ფსიქოლოგის მომსახურებით.



სექს-მუშაკი, 45 წლის, 2020 წლის ივლისი

კლიენტი მიეკუთვნება ტრანს* ადამიანების ჯგუფს. დაკავებულია სექს-სამუშაოთი, ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. იგი გახდა ბინის მეპატრონის შვილის მხრიდან ფიზიკურ ძალადობის მსხვერპლი და აგრეთვე გასახლებულ იქნა ბინიდან, მას შემდეგ რაც მეპატრონის შვილმა შეიტყო მისი სტატუსის შესახებ. იგი გადავიდა სხვა ბინაში და იქ გახდა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ერთ-ერთი თავის კლიენტის და მისი სამი მეგობრის მხრიდან. რის შედეგადაც იგი, ნაცემი მოთავსდა საავადმყოფოში. მიმართა REAct –ორს სამედიცინო დახმარებისთვის, მიმართა პოლიციას, აღძრეს საქმე, თუმცა პასუხი ჯერ არ არის. კლიენტი ვარაუდობს, რომ პოლიცია ვერ შეძლებს მისი ინტერესების დაცვას.

აივ ინფიცირებული, 40 წლის, 2020 წლის თებერვალი

კლიენტი არის ყოფილი პატიმარი. გაიარა ტესტირება აივ-ზე პატიმრობისას. მივიდა ზედამხედველი და კამერის პატარა ფანჯრიდან უთხრა ერთ-ერთ დაკავებულს რომ მას აქვს C ჰეპატიტი, სხვა დაკავებულს კი უთხრა, რომ მას აქვს შიდსი. კლიენტი იყო თავზარდაცემული, ჯერ დიაგნოზის და შემდეგ იმის გამო, რომ საკანში მყოფმა დაკავებულებმა შეიტყეს მისი აივ სტატუსის შესახებ. ღამე სცადა თავის მოკვლა, მაგრამ თანამესაკნეებმა გადაარჩინეს და აღმოუჩინეს აუცილებელი მხარდაჭერა.

სექს-მუშაკი ქალი, 30 წლის, 2020 წლის დეკემბერი

კლიენტი ცხოვრობდა მშობლებთან და ძმასთან ერთად. დაორსულდა ერთ-ერთი კლიენტისგან. როდესაც მშობლებმა შეიტყეს ამის შესახებ, ფიზიკურად იძალადეს მასზე და გააგდეს სახლიდან. ნათესავებმა, რომელთაც მან მიმართა დახმარებისთვის არ მიიღეს იგი. იძულებულია იქირაოს ბინა და გააგრძელოს სექს-სამუშაო, რადგანაც არ აქვს სხვა არჩევანი. მას უწევს ბინის ქირის გადახდა და ასევე სჭირდება ფული საარსებოდ და საკუთარი თავის და დაბადებული გოგონას უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტა: ნათესავები არ ნანობენ არაფერს, და სრულად მოკვეთეს კლიენტი.

პასუხი დარღვევებზე



REAct-ორები აწარმოებენ ადმიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევათა დოკუმენტირებას და გადაწყვეტას და არიან პარაიურისტები, თანასწორი კონსულტანტები, „აუთრიჩ' მუშაკები, რომლებიც აწვდიან აივ-ის პროფილაქტიკის და მკურნალობის, ასევე ზიანის შემცირების სერვისებს.

სამედიცინო-სოციალური დახმარება მსხვერპლს მიეწოდება კონსულტირების, პროფილაქტიკის და მკურნალობის სხვა საჭირო მომსახურების მისაღებად პარტნიორ ორგანიზაციებში ან სამედიცინო დაწესებულებებში გადამისამართების, თანხლების მეშვეობით.

REAct-ორის მხრიდან **პირველადი სამართლებრივი დახმარება** მდგომარეობს სამართლებრივ საკითხებში კონსულტირებაში და ჩივილების და განცხადებების შედგენაში დახმარებაში. თუმცა, როგორც დაზარალებულებს, ასევე თავად REAct-ორებს (ასევე წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფებს) ეშინიათ ზედმეტად პოლიციასთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილების და უსაფრთხოების დარღვევის შიშის გამო.

REAct-ორის მიერ **შემთხვევათა სამართლებრივი მენეჯმენტი** პირველ რიგში მდგომარეობს დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის შუამდგომლობაში. ამრიგად წყდება შემთხვევათა უმრავლესობა, სადაც დამნაშავედ გვევლინება სამედიცინო მუშაკი, განათლების ან სხვა სამსახურის წარმომადგენელი, ასევე მეზობლები და ნათესავები. REAct-ორები აწარმოებენ საგანმანათლებლო საუბრებს დამნაშავესთან აივ-ის და სტიგმის შემცირების საკითხებზე. თუ კლიენტი მზად არის დაიცვას თავისი უფლებები, ან მას ესაჭიროება **პროფესიონალი ადვოკატის დახმარება** (კრიმინალიზაციის შემთხვევები), ხდება კლიენტის გადამისამართება უფასო იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურში.

სამწუხაროდ, შემთხვევათა ერთი მესამედი რჩება შესაბამისი პასუხის გარეშე, რადგან თავად **დაზარალებულები ვერ ბედავენ გააგრძელონ უფლებათა დაცვა** და უარს აცხადებენ REAct-ორის ან იურისტის მხრიდან დახმარებაზე, სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთქმედების შიშით და მთლიანობაში სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობის გამო. ამ დაზარალებულებს ურჩევნიათ განიცადონ უფლებების სისტემატური დარღვევა, ვიდრე განხილვებისას გახსნან აივ სტატუსი, სქესობრივი ორიენტაცია ან მაღალი რისკის ჯგუფებთან კუთვნილება.

რეკომენდაციები ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისთვის ადამიანის უფლებათა სფეროში ვალდებულებების აღსრულებისთვის

1. განხილულ იქნას სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნისთვის პასუხისმგებლობისგან სრული გათავისუფლების საკითხი, და მხოლოდ შიდსის გადაცემის ქმედებების მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნორმების არსებითი შეზღუდვის საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 131.

2. განხილულ იქნას ვენერიული დაავადების წყაროს და პაციენტებთან კონტაქტების დამალვისთვის პასუხისმგებლობის გაუქმება (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 46).

3. გაუქმდეს დასჯა პროსტიტუციისთვის და განხილულ იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[3] მუხლის გაუქმების საკითხი და ასევე სისხლის სამართლის მუხლების 253-2552 არსებითი შეზღუდვის საკითხი, მხოლოდ ზრდასრულ ადამიანებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური ხასიათის ქმედებებთან მიმართებაში.

4. უზრუნველყოფილ იქნას მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური და იურიდიული დახმარების მიმწოდებელ სამოქალაქო ორგანიზაციების პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

5. გაიზარდოს ომბუდსმენის ოფისის ჩართულობა მოწყვლადი მოსახლეობის უფლებების დაცვის დაბალზღურბლოვანი სერვისებით უზრუნველყოფაში.

6. იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებულ იქნას ნორმატიული აქტების აუდიტი განსაკუთრებულად მოწყვლადი მოსახლეობის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საგანზე და შემოთავაზებულ იქნას შესაბამისი ზომები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

React-ის ფარგლებში სტრატეგიული ნაბიჯები 2021 წლისთვის

გარდა ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებისა და დაზარალებულთათვის ინდივიდუალურ დონეზე დახმარების მიწოდებისა, დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- React-ის მეშვეობით შეგროვებული მონაცემების წარდგენა მაღალი თანამდებობის პირებისთვის, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის, ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლებისთვის.
- ტრენინგები/ვებინარები, საინფორმაციო მასალების გავრცელება უფლებების და მათი დაცვის ეფექტური საშუალებების შესახებ მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- პროფესიონალ ადვოკატთა მოზიდვა მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლების სასამართლოში დაცვის მიზნით და მეგობრულად განწყობილი ადვოკატთა ბაზის შექმნა აივ ინფიცირებულთა, ან აივ-ის რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების უფლებების და საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.
- პირველადი სამართლებრივი დახმარების მიწოდებაში კომპეტენციის ზრდის მიზნით საგანმანათლებლო ჰაბი React-ის იურისტებსა და პარაიურისტებისთვის.
- გაეროს ორგანოების ჩრდილოვან ანგარიშებში შეგროვებული შემთხვევების შეყვანა მაღალი რისკის ჯგუფების რეგიონულ ქსელებთან ურთიერთქმედებაში.
- სტრატეგიული შემთხვევების გაშუქება მასმედიის მიერ აივ ინფიცირებულების და მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ სტიგმის შემცირების მიზნით.
- რეგიონული SoS პროექტის დასრულების შემდეგ ფინანსური მდგრადობის და REAct-ის კომპონენტის განხორციელების უზრუნველყოფა.

ავტორები:

ვიქტორია კალინიუკი – React სისტემის რეგიონული კოორდინატორი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში.

კახა კვაშილავა – იურისტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი, მუშაობის სტაჟი – 22 წელი. არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზირებული ადვოკატი. გარდა ამისა, არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, იურიდიული ფირმის პარტნიორ-დამფუძნებელი და უკვე მე-5 წელია, რაც მუშაობს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აღმასრულებელ დირექტორად. 3 წლის განმავლობაში იყო ქსელის გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოში React-ის რეგიონული კოორდინატორი.

გვანცა ჩაგუნავა – სოც.მუშაკი და სოციალური ფსიქოლოგი, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის თანამშრომელი. აქვს ადმიანის უფლებათა სფეროში მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება. React-ის რეგიონული კოორდინატორის ასისტენტი.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი“

ბულვარნო-კუდრიავსკაიას ქუჩა, 24,
კორპუსი 3,
სართული 2,
01601, კიევი, უკრაინა

Email: kalyniuk@aph.org.ua

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაციის კოპირება, გამოქვეყნება ან სხვა გზით არაკომერციული მიზნებით გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსის ნებართვით, REAct-ის, როგორც ინფორმაციის წყაროს მითითებით.

დეტალური ინფორმაცია REAct-ის შესახებ: ***www.react-aph.org***

© საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი, 2021

გამოცემულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი“-ს ფინანსური მხარდაჭერით, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის „ “აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მაღალი რისკის პოპულაციებისათვის მდგრადი აივ სერვისების უზრუნველყოფა“ განხორციელების ფარგლებში.

გავრცელება შესაძლებელია უფასოდ